



თბილისის სააპელაციო სასამართლო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

საქმე №28/6068-13

25 მარტი, 2014 წელი

სამოქალაქო საქმეთა პალატა

თავმჯდომარე, მომხსენებელი - ქეთევან მესხიშვილი
მოსამართლეები - ნატალია ნაზლაიძე, მზია ლომთათიძე

სხდომის მდივანი – დარეჯან ზიბინაშვილი

აპელანტი – გ. ე.

წარმომადგენელი – ლ. თ.

მოწინააღმდეგე მხარე – ნ. პ.

წარმომადგენელი – მ. ლ.

დავის საგანი – სამკვიდრო მოწმობისა და ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობა

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება

1. აპელანტის მოთხოვნა – გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება

გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება

გ. ე.-ს სასარჩელო მოთხოვნა: კ. მ.-ს დანაშთ სამკვიდრო ქონებაზე მდებარე მისამართზე ქ. თბილისი, მუხიანი, მ/რ. X კორპ. XX, ბინა XX (საკადასტრო კოდით XX.XX.XX.XXX.XXX.XX.XXX) 2008 წლის 15 მაისს ნ. მ.-ს სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობის NX-XX ერთ მეორედ ნაწილში ბათილად ცნობა. უძრავ ქონებაზე 2013 წლის 08 აპრილს ნ. მ.-სა და ნ. პ.-ს შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულების ერთ მეორედ ნაწილში ბათილად ცნობა და უძრავი ქონების ერთ მეორედ ნაწილზე გ. ე.-ს მემკვიდრედ და მესაკუთრედ აღიარება.



გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი

გ. ე.-ს სარჩელი, ნ. პ.-ს მიმართ სამკვიდრო მოწმობისა და ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობის, მემკვიდრედ და მესაკუთრედ აღიარების შესახებ, არ დაკმაყოფილდა.

დასკვნები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით უდავო ფაქტობრივი გარემოებები

2.1. მ. მ. ა. მ.-სა და ვ. მ.-ს გარდაცვალებამდე და მას შემდეგაც ცხოვრობდა სადავო საცხოვრებელ სახლში მისამართზე ქ. თბილისი, მუხიანი, მ/რ. X, კორპ. XX, ბინა XX.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს:

- მოსარჩელის ახსნა-განმარტება (სასამართლო სხდომის ოქმი);
- მოპასუხის ახსნა-განმარტება (სასამართლო სხდომის ოქმი).

2.2. მ. მ.-ს ა. მ.-ს, ისევე როგორც ვ. მ.-ს, სამკვიდრო ქონებაზე განაცხადი საწარმო ორგანოში არ შეუტანია და არც სამკვიდრო მოწმობა მიუღია.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს:

- მოსარჩელის ახსნა-განმარტება (სასამართლო სხდომის ოქმი);
- მოპასუხის ახსნა-განმარტება (სასამართლო სხდომის ოქმი).

2.3. ვ. მ.-ს, ისევე როგორც ა. მ.-ს, დანაშთ ქონებაზე გაცემული სამკვიდრო მოწმობა მ. მ.-ს სადავო არ გაუხდია.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს:

- მოსარჩელის ახსნა-განმარტება (სასამართლო სხდომის ოქმი);
- მოპასუხის ახსნა-განმარტება (სასამართლო სხდომის ოქმი).

2.4. გ. ე.-ს, როგორც მ. მ.-ს მემკვიდრეს, სამკვიდრო მოწმობა არ მიუღია. ასევე მას არ მიუმართავს საწარმო ორგანოსათვის განაცხადით სამკვიდროს თაობაზე.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს:

- მოსარჩელის ახსნა-განმარტება (სასამართლო სხდომის ოქმი);
- მოპასუხის ახსნა-განმარტება (სასამართლო სხდომის ოქმი).

დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები

2.5. ა. ე.-ს სახელზე 1983 წლის 15 აპრილს გაიცა საცხოვრებელი ბინის ორდერი, რომლითაც ა. ე.-ს, რომლის ოჯახი შედგებოდა ოთხი სულისაგან (მეუღლე მ. ე., შვილი ვ. და რძალი ნ.), მიენიჭა უფლება დაეკავებინა სამი ოთახი 44.21 კვ.მ ფართობით მისამართზე, მუხიანი, X მ/რ., კორპ. X. სადარბაზო მე-X, სართული მე-X.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს:



- ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1983 წლის 15 აპრილს გაცემული ორდერი (ს.ფ. 18);
- ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის მიმართვა (ს.ფ. 17).

2.6. 1990 წელს ა. ე.-მ და მისმა მეუღლემ მ. ე.-მ, შეიცვალეს გვარი და ეროვნება: მიენიჭათ გვარი „მ.“, ხოლო ეროვნება - „ქართველი“.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს:

- გლდანის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1990 წლის 02 ნოემბრის განკარგულება NXXX (ს.ფ. 19);
- გლდანის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კომიტეტის 1990 წლის 02 ნოემბრის განკარგულება NXXX (ს.ფ. 20);
- ქორწინების მოწმობა NXXXXXXX (ს.ფ. 21).

2.7. ა. მ.-ს და მ. მ. იქორწინეს 1947 წლის 13 აგვისტოს და შეეძინათ ორი ვაჟი გ. ე. და კ. მ.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს:

- ქორწინების მოწმობა NXXXXXXX (ს.ფ. 21);
- დაბადების მოწმობა NXXXXXXX (ს.ფ. 22);
- 1993 წლის 30 ივლისის კანონისმიერი სამკვიდრო მოწმობა (ს.ფ. 131).

2.8. 1992 წლის 11 აგვისტოს ა. მ.-სთან დაიდო პრივატიზაციის ხელშეკრულება საცხოვრებელ ბინაზე მისამართზე, ქ. თბილისი, მუხიანი, X მ/რ., კორპ X, ბინა NX. პრივატიზაციის დროისათვის ა. მ.-ს ოჯახის წევრებად ითვლებოდნენ და მის სახელზე პრივატიზაციას დაეთანხმნენ მ. მ., კ. მ., ნ. მ..

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს:

- 1992 წლის 11 აგვისტოს პრივატიზაციის ხელშეკრულება, ცნობა საბინაო პირობების შესახებ და თან დართული მასალები (ს.ფ. 75-96).

2.9. ა. მ. გარდაიცვალა 1992 წლის 28 დეკემბერს. მისი გარდაცვალებით გაიხსნა სამკვიდრო სრულად ამავე დღეს. სამკვიდროს გახსნის ადგილი - თბილისი. სამკვიდრო ქონებას წარმოადგენდა უძრავი ნივთი მდებარე, მისამართზე ქ. თბილისი, მუხიანი X მ/რ., კორპ X, ბინა NX.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს:

- გარდაცვალების მოწმობა NXXXXXXX (ს.ფ. 23)
- 1993 წლის 30 ივლისის კანონისმიერი სამკვიდრო მოწმობა (ს.ფ. 131).

2.10. ა. მ.-ს დანაშთ ქონებაზე 1993 წლის 30 ივლისს გაიცა კანონისმიერი სამკვიდრო მოწმობა კ. მ.-ს სახელზე, რომლის საფუძველზეც უძრავი ქონება, მდებარე, მისამართზე, ქ. თბილისი, მუხიანი X მ/რ., კორპ X, ბინა NX. (საკადასტრო კოდით # XX.XX.XX.XXX.XXX.XX.XXX) აღირიცხა საკუთრების უფლებით კ. მ.-ს სახელზე 2007 წლის 18 სექტემბერს.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს:



- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან უძრავი ქონების შესახებ საკადასტრო კოდით XX.XX.XX.XXX.XXX.XX.XXX (ს.ფ. 24-25, 60);
- ვ. მ.-ს 2007 წლის 13 სექტემბრის განცხადება (ს.ფ. 61);
- 1993 წლის 30 ივლისის კანონისმიერი სამკვიდრო მოწმობა (ს.ფ. 131).

2.11. ვ. მ. გარდაიცვალა 2007 წლის 14 ნოემბერს. მისი გარდაცვალებით გაიხსნა სამკვიდრო სრულად 2007 წლის 14 ნოემბერს. სამკვიდროს გახსნის ადგილი - თბილისი. სამკვიდრო ქონებას წარმოადგენდა უძრავი ნივთი მდებარე მისამართზე, ქ. თბილისი, მუხიანი X მ/რ., კორპ X, ბინა XX (საკადასტრო კოდით XX.XX.XX.XXX.XXX.XX.XXX)

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს:

- გარდაცვალების მოწმობა NXXXXXXXXXXXX (ს.ფ. 26);
- 2008 წლის 15 მაისის სამკვიდრო მოწმობა - სანოტარო აქტი XX-XX (ს.ფ. 132-134).

2.12. 2008 წლის 15 მაისს ნ. მ.-ზე, როგორც 2007 წლის 14 ნოემბერს გარდაცვლილი ვ. მ.-ს მეუღლესა და პირველი რიგის მემკვიდრეზე, გაიცა კანონისმიერი სამკვიდრო მოწმობა უძრავ ქონებაზე, მდებარე მისამართზე, ქ. თბილისი, მუხიანი X მ/რ., კორპ X, ბინა NX (საკადასტრო კოდით XX.XX.XX.XXX.XXX.XX.XXX). სანოტარო აქტს ერთ-ერთ საფუძველად დაედო ნ. მ.-ს 2008 წლის 15 მაისის განცხადება ვ. მ.-ს სამკვიდროს მიღების თაობაზე.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს:

- 2008 წლის 15 მაისის სამკვიდრო მოწმობა - სანოტარო აქტი #XX-XX (ს.ფ. 132-134)

2.13. 2008 წლის 15 მაისის სამკვიდრო მოწმობის (სანოტარო აქტი XX-XX) საფუძველზე უძრავი ქონება მდებარე მისამართზე ქ. თბილისი, მუხიანი X მ/რ., კორპ X, ბინა XX აღირიცხა საკუთრების უფლებით ნ. მ.-ს სახელზე 2008 წლის 15 მაისს.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს:

- 2008 წლის 22 მაისის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან უძრავი ქონების შესახებ საკადასტრო კოდით XX.XX.XX.XXX.XXX.XX.XXX (ს.ფ. 28, 58);
- ნ. მ.-ს განცხადება (ს.ფ. 59);
- 2008 წლის 15 მაისის სამკვიდრო მოწმობა - სანოტარო აქტი #X-XX (ს.ფ. 132-134).

2.14. ნ. მ.-მ 2013 წლის 08 აპრილს დადო ჩუქების ხელშეკრულება თავის ძმასთან, ნ. პ.-სთან უძრავ ქონებაზე, მდებარე მისამართზე ქ. თბილისი, მუხიანი X მ/რ., კორპ X, ბინა NX (საკადასტრო კოდით XX.XX.XX.XXX.XXX.XX.XXX).

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს:

- 2013 წლის 08 აპრილის ჩუქების ხელშეკრულება - სანოტარო აქტი #XXXXXXXX (ს.ფ. 135-137).

2.15. 2013 წლის 8 აპრილის ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე უძრავი ქონება, მდებარე მისამართზე ქ. თბილისი, მუხიანი მუხიანი X მ/რ., კორპ X, ბინა NX (საკადასტრო კოდით XX.XX.XX.XXX.XXX.XX.XXX) აღირიცხა საკუთრების უფლებით ნ. პ.-ს სახელზე 2013 წლის 17 აპრილს.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს:



- 2013 წლის 17 აპრილის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან უძრავი ქონების შესახებ საკადასტრო კოდით XX.XX.XX.XXX.XXX.XX.XXX (ს.ფ. 29).

2.16. გ. ე.-მ 2013 წლის 24 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა მ. მ.-ს ქმედუუნაროდ აღიარების თაობაზე. განცხადება 2013 წლის 28 მაისის განჩინებით არ იქნა განსახილველად მიღებული.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს:

- თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 28 მაისის განჩინება სამოქალაქო საქმეზე N2/7049-13 (ს.ფ. 149-152).

2.17. მ. მ. გარდაიცვალა 2013 წლის 01 ივნისს. იგი რეგისტრირებული იყო მისამართზე ქ. თბილისი, მუხიანის X მ/რ., კორპ X, ბინა NX, 1983 წლის 21 მაისიდან და რეგისტრაცია გაუქმდა მისი გარდაცვალების საფუძველზე.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს:

- სსგს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს 2013 წლის 12 ივნისის ამონაწერი (ს.ფ. 27).

- გარდაცვალების მოწმობა #XXXXXXXXXXXX (ს.ფ. 31).

2.18. გ. მ.-სათვის და მ. მ.-სთვის ცნობილი იყო სადავო სამკვიდრო მოწმობის გაცემის თაობაზე.

სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია და არ მიიჩნია დადგენილად ის გარემოება, რომ ნ. მ.-ს სახელზე სამკვიდრო მოწმობის გაცემის თაობაზე არ იყო ცნობილი მ. მ.-სათვის, გ. ე.-სათვის კი ცნობილი გახდა მხოლოდ მ. მ.-ს გარდაცვალების შემდეგ. სასამართლოს განმარტებით, სადავო გარემოების მტკიცებულება მოსარჩელეს არ წარუდგენია.

2.19. 1994 წლის 12 თებერვლის პრივატიზაციის ხელშეკრულების საფუძველზე უძრავი ქონება, მდებარე მისამართზე, ქ. თბილისი, დასახლება თემქა, მ/რ. X, კვ. X, კორპ. X, ბინა NX აღირიცხა გ. ე.-ს სახელზე საკუთრების უფლებით 2007 წლის 13 სექტემბერს.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს:

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან უძრავი ქონების შესახებ საკადასტრო კოდით NXX.XX.XX.XX.XXX.XX.XX (ს.ფ. 56-57).

მხარეებს არ გაუხდიათ სადავოდ ნ. მ.-ს 2013 წლის მაისის თვეში გარდაცვალების ფაქტი, მაგრამ მათ არ წარუდგენიათ ამ უკანასკნელის გარდაცვალების მოწმობა ან სამკვიდრო მოწმობა. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მესამე ნაწილიდან გამომდინარე, სასამართლომ ვერ იმსჯელა ამ გარემოებისა და მისი უფლებამონაცვლის თაობაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონ განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაუდონ საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.



სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომელზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, გარემოებები, რომელიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათს ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არ არსებობის შესახებ. მოსაზრებები, რომელიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში.

დასკვნები სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით

2.20. მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნების არსებით საფუძვლად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ იგი წარმოადგენდა მამკვიდრებელ კ. მ.-ს დედის მ. მ.-ს შვილს და უფლება ჰქონდა იმ ქონებაზე, რომელიც მ. მ.-მ ფაქტობრივი ფლობით მიიღო.

სამოქალაქო კოდექსის 1306-ე მუხლის თანახმად, გარდაცვლილი პირის (მამკვიდრებლის) ქონების გადასვლა სხვა პირებზე ხორციელდება კანონით ან ანდერძით, ან ორივე საფუძვლით. კანონით მემკვიდრეობა მოქმედებს, თუ მამკვიდრებელს არ დაუტოვებია ანდერძი, ან თუ ანდერძი მოიცავს სამკვიდროს ნაწილს, ან თუ ანდერძი მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად აცნობილი.

სამოქალაქო კოდექსის 1307-ე მუხლის თანახმად, კანონით მემკვიდრეობის დროს მემკვიდრეები შეიძლება იყვნენ პირები, რომელნიც ცოცხალნი იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის.

სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის თანახმად, კანონით მემკვიდრეობის დროს თანასწორი უფლებით მემკვიდრეებად ითვლებიან პირველ რიგში გარდაცვლილის შვილები, მეუღლე და მშობლები.

გ. ე. წარმოადგენს მ. მ.-ს შვილს (2.6). შესაბამისად, იგი მ. მ.-ს პირველი რიგის მემკვიდრეა სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის თანახმად. კანონით მემკვიდრეობა კი მოქმედებს თუკი მამკვიდრებელს არ დაუტოვებია ანდერძი, ან თუ ანდერძი მოიცავს სამკვიდროს ნაწილს, ან თუ ანდერძი მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად აცნობილი.

სამოქალაქო კოდექსის 1319-ე და 1320-ე მუხლების მიხედვით, სამკვიდრო იხსნება პირის გარდაცვალების შემდეგ. სამკვიდროს გახსნის დროდ ითვლება მამკვიდრებლის გარდაცვალების დღე.

მ. მ. გარდაიცვალა 2013 წლის 01 ივნისს (2.17). შესაბამისად სამკვიდრო გაიხსნა 2013 წლის 01 ივნისს.



სამოქალაქო კოდექსის 1424-ე მუხლის თანახმად, სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან. ამავე კოდექსის 1421-ე მუხლის თანახმად, სამკვიდროს იღებს მემკვიდრე, იქნება იგი კანონით თუ ანდერძით მემკვიდრე. მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო.

გ. ე.-ს, როგორც მ. მ.-ს მემკვიდრეს, არ მიუძღრთავს სანოტარო ორგანოსათვის განაცხადით სამკვიდროს მიღების თაობაზე (2.4), მ. მ.-ს სამკვიდროს მისაღებად კანონით დადგენილი ვადა კი ამჟამად არ არის ამოწურული. საქმის მასალებით არ დადასტურდა გ. ე.-ს გარდა სხვა მემკვიდრის ან ანდერძის არსებობა, მაგრამ სასამართლომ განმარტა, რომ იგი მოკლებული იყო შესაძლებლობას ემსჯელა ამის თაობაზე, არ არის რა გასული კანონით დადგენილ ექვსთვიანი ვადა სამკვიდროს მიღებისა.

სასამართლომ ასევე განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის თანახმად, სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის. მ. მ. გარდაიცვალა 2013 წლის 1 ივნისს და წარმოდგენილი საქმის მასალებით არ დადასტურდა, რომ ამ დროისათვის მის დანაშთ სამკვიდროს შეადგენდა უფლება უძრავ ქონებაზე.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ვინაიდან მ. მ.-ს არ განუცხადებია წერილობით უარი ვ. მ.-ს სამკვიდროზე, ეს ნიშნავდა რომ მან სამკვიდრო მიიღო.

მხარეებს სადავო არ გაუხდიათ ის გარემოება, მამკვიდრებლის კუთვნილი ქონებით სარგებლობდა მ. მ.-ს (2.17), მაგრამ არ დადასტურდა, რომ ეს სარგებლობა არ ატარებდა სამკვიდროს მიღებისაკენ მიმართულ ნებას, რაზეც მეტყველებს ის უდავო გარემოება, რომ ვ. მ.-ს სამკვიდრო მოწმობა გაიცა სამკვიდროს მიღების ვადის ამოწურვისას და მ. მ. ისე გარდაიცვალა 2013 წელს (2.17), რომ რძლის სახელზე 2008 წელს გაცემული მოწმობა სადავოდ არ გაუხდია (2.2, 2.3). იგი ასევე ცხოვრობდა სადავო სახლში ვ. მ.-ს მამკვიდრებლის (ა. მ.-ს) გარდაცვალების დროისათვისაც და ასევე არ გაუხდია სადავოდ ა. მ.-ს ქონებაზე ვ. მ.-ს სახელზე სამკვიდრო მოწმობის გაცემა (2.2, 2.3).

გარდა აღნიშნულისა, სასამართლომ მიუთითა მოთხოვნის ხანდაზმულობაზეც: სამოქალაქო კოდექსის 1450-ე მუხლის თანახმად, სამკვიდროს მიღება ან მიღებაზე უარის თქმა შეიძლება სადავო გახდეს ორი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როცა დაინტერესებულმა პირმა შეიტყო, რომ ამისათვის არსებობს სათანადო საფუძველი.

შესაბამის მტკიცებულებათა არ არსებობის გამო სასამართლომ ვერ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ ნ. მ.-ს სახელზე სამკვიდრო მოწმობის გაცემის თაობაზე არ იყო ცნობილი მ. მ.-სათვის (2.18). ამდენად, თავად მ. მ.-ს სიცოცხლეში 2008 წლის სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობის მოთხოვნა იყო ხანდაზმული; ხანდაზმულია გ. ე.-ს მოთხოვნაც, თუკი მას მ. მ.-ს უფლებამონაცვლედ ჩავთვლით, რადგან ასევე მტკიცებულებათა არ არსებობის გამო, სასამართლომ არ გაიზიარა მისი მოსაზრება სადავო სამკვიდრო მოწმობის არსებობის შესახებ დედის გარდაცვალების შემდეგ შეტყობის თაობაზე (2.18).



სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება ტრანსმისიის წესით უძრავ ქონებაზე უფლების არსებობის თაობაზე: სამოქალაქო კოდექსის 1430-ე მუხლის თანახმად, თუ მემკვიდრე სამკვიდროს გახსნის შემდეგ, მაგრამ სამკვიდროს მიღებამდე გარდაიცვალა, მაშინ სამკვიდროდან მისი წილის მიღების უფლება გადადის მის მემკვიდრეებზე (მემკვიდრეობითი ტრანსმისია). გარდაცვლილი მემკვიდრის მემკვიდრეებმა სამკვიდრო უნდა მიიღონ სამკვიდროს მიღების ვადამდე დარჩენილი ხნის განმავლობაში. თუ ეს დრო სამ თვეზე ნაკლებია, იგი სამ თვემდე უნდა გაგრძელდეს. 1430-ე მუხლი ადგენს ტრანსმისიის ერთ-ერთ პირობად მემკვიდრის გარდაცვალებას სამკვიდროს გახსნის შემდეგ სამკვიდროს მიღებამდე დროის მონაკვეთში; ვ. მ.-ს სამკვიდრო გაიხსნა 2007 წლის 14 ნოემბერს (2.11), მ. მ. კი გარდაიცვალა 2013 წლის 01 ივნისს (2.17). ამდენად, კანონით გათვალისწინებული ტრანსმისიით სამკვიდროს მიღების წინაპირობები სახეზე არ არის..

ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში გ. ე.-ს სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

2.21. მოსარჩელემ მოითხოვა უძრავ ქონებაზე დადებული ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა ქონების იმ ერთ მეორედ ნაწილზე, რომელზეც მას, მისი მოსაზრებით, როგორც მ. მ.-ს მემკვიდრეს, უფლება ჰქონდა.

2008 წლის 15 მაისის სამკვიდრო მოწმობის (სანოტარო აქტი NX-XX) საფუძველზე უძრავი ქონება მდებარე, ქ. თბილისი, მუხიანი მ/რ X, კორპუსი X, ბინა NX საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით ნ. მ.-ს სახელზე 2008 წლის 22 მაისს აღირიცხა (2.13).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის თანახმად, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგების საფუძველზე სხვა პირისაგან იძენს რომელიმე უფლებას და ეს უფლება გამსხვიებლის სახელზე იყო რეესტრში რეგისტრირებული, რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი, ან შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტოა.

სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას.

სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის თანახმად, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

2013 წლის 8 აპრილს ნ. მ.-მ, როგორც მესაკუთრემ, დადო ჩუქების ხელშეკრულება სადავო უძრავ ნივთზე თავის ძმასთან, ნ. პ.-სთან (2.14), რომლის საფუძველზე სადავო ქონება აღირიცხა საკუთრების უფლებით ნ. პ.-ს სახელზე 2013 წლის 17 აპრილს (2.15).



სამოქალაქო კოდექსის 524-ე მუხლის თანახმად, ჩუქების ხელშეკრულებით მჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს დასაჩუქრებულს ქონებას საკუთრებად მისი თანხმობით.

ვინაიდან მოსარჩელის უფლება სადავო ქონებაზე არ არის დადასტურებული, შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოსარჩელის მიერ მითითებული საფუძველი გარიგების ბათილად ცნობის. ამასთან, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზედაც, რომ ამგვარი უფლების დადასტურება თავისთავად არ იწვევდა ხელშეკრულების ბათილობას საჯარო რეესტრის უტყუარობის პრეზუმფციიდან გამომდინარე.

სასამართლო ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზეც, რომ სარჩელი მიმართული იყო ხელშეკრულების მხოლოდ ერთი მხარის წინააღმდეგ. მხარეთა ახსნა-განმარტების მიხედვით ნ. მ. გარდაცვლილია 2013 წლის მაისი თვეში, მაგრამ მხარეებს არ მიუთითებიათ მისი უფლებამონაცვლე, ეხება რა გადაწყვეტილება ნ. მ.-ს და თავისთავად მისი უფლებამონაცვლის ინტერესებს.

ამდენად, სარჩელი უძრავ ქონებაზე ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნის ნაწილში უსაფუძვლოდ იქნა მიჩნეული და არ დაკმაყოფილდა.

2.22. არ დაკმაყოფილდა რა სარჩელი სადავო ქონებაზე 2008 წლის 15 მაისს გაცემული სამკვიდრო მოწმობის 1/2 ნაწილში და 2013 წლის 08 აპრილს დადებული ჩუქების ხელშეკრულების შესაბამის 1/2 ნაწილში ბათილად ცნობის თაობაზე, ასევე უსაფუძვლოდ იქნა მიჩნეული გ. ე.-ს მოთხოვნა ამ უძრავ ქონებაზე მემკვიდრედ და თანამესაკუთრედ აღიარების შესახებ. შესაბამისად, სასამართლომ არ იმსჯელა მის თანმდევ შედეგზე საჯარო რეესტრში უძრავი ქონების რეგისტრაციის მონაცემებში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

3. სააპელაციო საჩივრის საფუძველები

ფაქტობრივი საფუძველები

3.1. სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ ნ. მ.-ს სადავოდ არ გაუხდია ა. მ.-ს და კ. მ.-ს ქონებაზე გაცემული სამკვიდრო მოწმობები. კ. მ.-ს სახელზე გაცემული მოწმობის შესახებ მ. მ.-მ არ იცოდა და ეს იყო სასამართლო მსჯელობის საგანი.

3.2. სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ გ. ე.-ს, როგორც მ. მ.-ს მემკვიდრეს, არ მიუღია სამკვიდრო მოწმობა. აღნიშნულ ვერც მიიღებდა, რადგან არ არის გასული ექვსთვიანი ვადა.

3.3. სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ კ.მ.-ს პირველი რიგის მემკვიდრე იყო მხოლოდ ნ. მ. საქმეში წარმოდგენილი მასალებით დგინდება, რომ დედა - მ. მ. არის პირველი რიგის მემკვიდრე, რომელიც ფაქტობრივი ფლობით დაეუფლა ქონებას.

3.4. სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ გ. და მ. მ.-ებისათვის ცნობილი იყო სამკვიდრო მოწმობის გაცემის თაობაზე.



3.5. სასამართლომ არ იმსჯელა იმ გარემოებაზე, რომ მოწინააღმდეგე მხარემ ნოტარიუსს დაუმალა სხვა პირველი რიგის მემკვიდრის არსებობის თაობაზე და მოტყუებით მიიღო სამკვიდრო მოწმობა მთელ ქონებაზე.

სამართლებრივი საფუძვლები

3.7. სასამართლომ არასწორად განმარტა 1328-ე, 1421-ე და 1424-ე მუხლები. ასევე დავის საგანთან მიმართებაში არასწორად განმარტა 524-ე, 1430-ე და 1450-ე მუხლები.

4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის დასაბუთება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 386-ე მუხლის შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია და საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უბრუნდება, სააპელაციო სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე. იგი თავისი განჩინებით უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე ან გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით იღებს ახალ გადაწყვეტილებას.

4. ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება

სააპელაციო სასამართლო მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და მტკიცებულებების კვლევის შედეგად დადგენილად მიიჩნევს საქმისათვის მნიშვნელოვან და სააპელაციო საჩივრით სადავოდ გამხდარ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

4.1. მ. მ.-ს თავის სამკვიდროზე ნ. მ.-ს სასარგებლოდ უარი არ უთქვამს. შესაბამისად, მ. მ.-ს გარდაცვალების შემდეგ მის დანაშთ სამკვიდრო მასაში შევიდა კ. მ.-ს სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრირებული უძრავი ქონების, კერძოდ, ქ. თბილისი, მუხიანი, მ/რ. X, კორპ. XX, ბინა NX (საკადასტრო კოდით XX.XX.XX.XX.XXX.XX.XX) 1/2 ნაწილი, რომელიც მან კ. მ.-ს გარდაცვალების შემდეგ ფაქტობრივი ფლობით მიიღო და რაც მას ნ. მ.-ს სასარგებლოდ არ განუკარგავს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის შესაბამისად, სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის. სამკვიდროში შედის საერთო საკუთრების წილი, რომელიც მამკვიდრებელზე მოდიოდა, ხოლო, თუ ქონების გაყოფა ნატურით შეუძლებელია, მაშინ – ამ ქონების ღირებულება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან



მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო. ამდენად, განსახილველი ნორმის თანახმად, სამკვიდროს მიღების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, მემკვიდრის მიერ სამკვიდრო ქონების ფლობა ან მართვა. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ მიღებული სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრებად ითვლება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან (ამავე კოდექსის 1433-ე მუხლის თანახმად). ამდენად, სამკვიდროს მიღების ფაქტს, განსახილველი ნორმის თანახმად, გააჩნია უკუპალა, ე.ი, მემკვიდრემ, რომელმაც მიიღო სამკვიდრო ქონება, ითვლება მის მესაკუთრედ სამკვიდროს გახსნის დღიდან და, შესაბამისად, სამკვიდრო ქონების მოცულობა განისაზღვრება სამკვიდრო გახსნის დღეს არსებული ქონებით. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ სამკვიდროს მიღება შეუქცევადია, რაზედაც მიუთითებს მითითებული კოდექსის 1447-ე მუხლი, რომლის თანახმად, მემკვიდრეს, რომელიც ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ფლობას ან მართვას, სამკვიდროს მისაღებად დადგენილი დროის განმავლობაში შეუძლია, უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე, რის შესახებაც განცხადებით უნდა მიმართოს სანოტარო ორგანოს. ამდენად, მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან ექვს თვეში ფაქტობრივი ფლობით სამკვიდროს მიღება ნიშნავს, რომ მემკვიდრეს სამკვიდრო უკვე მიღებული აქვს და მიღებული სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრებად ითვლება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან. ამასთან, პალატა განმარტავს, რომ მემკვიდრის მიერ სადავო უძრავი ქონების მიღება ფაქტობრივი ფლობით ან მართვით აყენებს მას განსაკუთრებულ სამართლებრივ რეჟიმში. ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლებით (კონკლუდენტური მოქმედებებით) მემკვიდრე ხდება სამკვიდრო ქონების მესაკუთრე. ამ მომენტიდან ის მამკვიდრებლის ურთიერთობების კრედიტორად და მოვალედ მიიჩნევა. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება, როგორც რეგისტრაციასავალდებულო უფლება, მოითხოვს საჯარო რეესტრში რეგისტრაციას, თუმცა, რეგისტრაციის განუხორციელებლობა არ ნიშნავს იმას, რომ მან არ მიიღო ეს ქონება¹.

განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა ახსნა-განმარტებითა და საქმის მასალებით დასტურდება, რომ მ. მ.-მ კ. მ.-ს დანაშთი ქონება ფაქტობრივი ფლობით მიიღო. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების შესაბამისად, არსებობს პრეზუმფცია, რომლის მიხედვითაც, მ. მ.-ს გარდაცვალების დროისათვის მის სამკვიდრო მასაში ის ქონება უნდა შესულიყო, რომელიც, მან კ. მ.-სგან ფაქტობრივი ფლობით მიიღო. რაც შეეხება ფაქტს მასზე, რომ მ. მ.-მ ნ.მ.-ს, ანუ რძლის სასარგებლოდ კ. მ.-ს სამკვიდრო ქონებაში თავის კუთვნილ წილზე უარი თქვა, საქმის მასალებით არ დასტურდება. პალატა მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური გადანაწილების შედეგად მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, მ. მ.-ს მიერ თავის კუთვნილ წილზე ნ. მ.-ს სასარგებლოდ უარის თქმის ფაქტი მოწინააღმდეგე მხარემ, ანუ ნ. მ.-მ უნდა ამტკიცოს. აღნიშნული დასკვნა გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო სამართალში მტკიცების ტვირთის ობიექტური და სამართლიანი გადანაწილების სტანდარტიდან, რომლის მიხედვითაც, მტკიცებადია ფაქტის არსებობა და არა მისი არარსებობა. შესაბამისად, გ. ე. ობიექტურად ვერ შეძლებს იმის დამტკიცებას, რომ ნ. მ. თანახმა არ იყო თავისი წილი ქონება საკუთრების უფლებით ნ. მ.-ს სახელზე აღრიცხულიყო, ხოლო შემდეგ ნ. მ.-ს მძაზე, ნ. მ.-ზე უსასყიდლოდ გასხვისებულიყო. ამდენად, ნ. მ.-ს ნების დადასტურება მასზე, რომ მან კ. მ.-ს სამკვიდრო ქონებაში თავისი კუთვნილი წილი ნ. მ.-ს სასარგებლოდ დათმო, ნ. მ.-მ უნდა ამტკიცოს.

სასამართლო არ იზიარებს მოწინააღმდეგე მხარის მტკიცებას მასზე, რომ ვინაიდან მ. მ.-ს თავის სიცოცხლეში არ მოუთხოვია კ. მ.-ს დანაშთი ქონების საკუთარ სახელზე საკუთრების უფლებით დარეგისტრირება, ამიტომ იგულისხმება, რომ მ. მ. ნ. მ.-ს დაეთანხმა, მთელი

¹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 07.03.2013 Nას-1183-1112-2012 გადაწყვეტილება



სამკვიდრო ქონება საკუთარ სახელზე დაერეგისტრირებინა და თავის ძმაზე უსასყიდლოდ გაესხვისებინა. პალატა განმარტავს, რომ შესაბამისი მტკიცების გარეშე მ. მ.-ს მიერ ვ. მ.-ს დანაშთ ქონებაში მისი კუთვნილი წილის ნ. მ.-ს სასარგებლოდ დათმობა დადასტურებულად ვერ მიიჩნევა. პალატა განმარტავს, რომ საპროცესო კანონმდებლობით პირდაპირაა განსაზღვრული, რა შემთხვევაში თავისუფლდება პირი მის მიერ მითითებული ფაქტების მტკიცებისაგან (პრეიუდიცია, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები, მეორე მხარის აღიარება), მხარე ასევე თავისუფლდება კონკრეტული მტკიცებულების წარდგენის ვალდებულებისაგან იმ შემთხვევაში, თუ ეს მტკიცებულება მის მოწინააღმდეგე მხარესთან იმყოფება და იგი უარს ამბობს წარდგენაზე, ყველა სხვა შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეული მხარე ვალდებულია სათანადოდ დაადასტუროს მის მიერ მითითებული გარემოებების ნამდვილობა, მოცემულ შემთხვევაში². პალატა აქვე დამატებით განმარტავს, რომ მართალია, მ. მ.-ს პრეტენზია არ გამოუთქვამს პრივატიზებული ქონების ჯერ ა. მ.-ს სახელზე, ხოლო შემდეგ ვ. მ.-ს სახელზე აღრიცხვის თაობაზე, თუმცა, აღნიშნული ფაქტი, შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენის გარეშე, არ ნიშნავს იმას, რომ მ. მ. ვ. მ.-ს გარდაცვალების შემდეგაც უარს ამბობდა მემკვიდრეობით მისაღებ წილზე, მითუმეტეს, რომ საპრივატიზაციო ქონების ერთი ოჯახის წევრზე აღრიცხვა, არ ნიშნავს საკუთარი წილის დათმობას. შესაბამისად, პალატა, მტკიცების გარეშე, დადასტურებულად ვერ მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ მითითებული ქონების ჯერ ა. მ.-ს სახელზე, ხოლო შემდეგ ვ. მ.-ს სახელზე აღრიცხვა, ნიშნავდა მ. მ.-ს მიერ თავის კუთვნილ პრივატიზებულ წილსა და ოჯახის წევრის გარდაცვალებით კუთვნილ სამკვიდრო წილზე უარის თქმას. თუმცა, განსახილველ შემთხვევაში, ნიშანდობლივია, რომ აპელანტი სადავოდ არ ხდის მ. მ.-ს პრივატიზებული ნაწილისა და ა. მ.-ს კუთვნილი სამკვიდრო წილის ვ. მ.-ს სამკვიდრო მასაში შესვლის ფაქტს. გ. ე. სადავოდ ხდის იმ გარემოებას, რომ ვ. მ.-ს გარდაცვალების შემდეგ, მის, იმ დროისათვის ცოცხალ დედას, როგორც პირველი რიგის მემკვიდრეს, ვ. მ.-ს დანაშთი ქონების 1/2 ნაწილი ერგებოდა, რაც მ. მ.-მ ფაქტობრივი ფლობით მიიღო. მ. მ.-ს თავისი წილი სამკვიდროდან არავის სასარგებლოდ დაუთმია და არც არავისზე გაუსხვისებია. შესაბამისად, აღნიშნული წილი მის სამკვიდრო მასაში შევიდა, ხოლო გ. ე.-ს როგორც მ. მ.-ს პირველი რიგის მემკვიდრეს, აღნიშნული ნაწილის მოთხოვნის უფლება წარმოეშვა (იხ. სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 11 მარტის სხდომის ოქმი).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1439-ე მუხლის მიხედვით, მემკვიდრეს შეუძლია უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე სხვა პირთა სასარგებლოდ კანონით ან ანდერძით მემკვიდრეთა რიცხვიდან. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად კი, თუ ერთ-ერთი მემკვიდრე სამკვიდროდან წილის მიღებაზე უარს იტყვის სხვა მემკვიდრის სასარგებლოდ, ასეთი მოქმედება ჩაითვლება სამკვიდროს მიღებად, მაგრამ აღნიშნული უფლების განხორციელება შეზღუდულია კანონით დადგენილი ვადით, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 1424-ე მუხლის მიხედვით, სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან, ხოლო 1434-ე მუხლის თანახმად კი, მემკვიდრეს შეუძლია უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე სამი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როცა მან შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი მოწვევის შესახებ სამკვიდროს მისაღებად. საპატიო მიზეზის არსებობისას ეს ვადა შეიძლება გააგრძელოს სასამართლომ, მაგრამ არა უმეტეს ორი თვისა. უარის თქმა სამკვიდროს მიღებაზე უნდა გაფორმდეს სანოტარო ორგანოში. განსახილველ შემთხვევაში, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მ. მ.-მ ვ. მ.-ს დანაშთი ქონება ფაქტობრივი ფლობით მიიღო. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება სამართალწარმოების არცერთ ეტაპზე

² იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს №ას-373-354-2013 გადაწყვეტილება, 23.12.2013



სადავო არ ყოფილა. შესაბამისად, მ. მ.-ს ნ. მ.-ს სასარგებლოდ ვ. მ.-ს დანაშთ ქონებაში თავის წილზე უარი კანონით გათვალისწინებულ ვადაში სანოტარო ორგანოსათვის მიმართვის გზით უნდა განეცხადებინა. მხარეთა ახსნა-განმარტებითა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ნ. მ.-ს თავის სამკვიდრო წილზე უარი ნოტარიუსისათვის მიმართვის გზით არ განუცხადებია. თუმცა, აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ მითითებული ვადის გასვლის შემდეგ მემკვიდრე მიღებულ სამკვიდროს სხვა მემკვიდრის სასარგებლოდ ვერ განკარგავს. ასეთ ვითარებაში გამოხატული ნება კვალიფიცირდება არა სამკვიდროზე უარის თქმად, არამედ მემკვიდრეობით მიღებული სამკვიდრო ქონების უსასყიდლოდ განკარგვად, რაც თავისი არსით, სხვა არაფერია, თუ არა ჩუქება³. განსახილველ შემთხვევაში კი, საქმის მასალებით არ დასტურდება მ. მ.-ს მიერ ნ. მ.-ს სასარგებლოდ კანონით დადგენილ ვადაში ვ. მ.-ს დანაშთ ქონებაში თავის წილ ქონებაზე უარის თქმა და არც აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მ. მ.-ს მიერ მითითებული წილის ნ. მ.-სათვის ჩუქება.

უფრო მეტიც, პალატა მიიჩნევს, რომ მ. მ. თავის სიცოცხლეში ინფორმაციას არ ფლობდა იმის შესახებ, რომ ნ. მ.-მ სამკვიდრო მოწმობა ვ. მ.-ს მთელ დანაშთ ქონებაზე მიიღო. აღნიშნული დასკვნის საფუძველს წარმოადგენს საქმეში წარმოდგენილი ვ. მ.-ს სამკვიდრო ქონებაზე ნ. მ.-ს სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობა. აღსანიშნავია, რომ მითითებულ სამკვიდრო მოწმობაში ნ. მ. მოხსენებულია როგორც ვ. მ.-ს ერთადერთი მემკვიდრე. შესაბამისად, სამკვიდრო მოწმობა მთელ სამკვიდრო ქონებაზეა გაცემული და არა მხოლოდ მის 1/2 ნაწილზე. აღნიშნული გარემოების სამართლებრივი ანალიზის მიზნებისათვის ნიშანდობლივია ფაქტი მასზე, რომ იმ დროისათვის მ. მ.-ს ვ. მ.-ს დანაშთი ქონება ფაქტობრივი ფლობით მიღებული ჰქონდა. ამ უკანასკნელს ნ. მ.-ს სასარგებლოდ მემკვიდრეობის მიღებაზე უარი არ უთქვამს და არც მიღებული სამკვიდრო ქონება უჩუქებია ნ. მ.-სათვის. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ მ. მ. ნოტარიუსს მიაწვდიდა ინფორმაციას, კიდევ ერთი მემკვიდრის არსებობის შესახებ, რომელსაც სამკვიდრო ფაქტობრივი ფლობით მიღებული ჰქონდა, ნოტარიუსი მთელ ქონებაზე სამკვიდრო მოწმობას არ გასცემდა.

4.2. გ. ე.-ს სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმული არ არის.

პალატა მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების კვლევის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ მ. მ. ნ. მ.-ს მიერ მთელი სამკვიდრო მასის საკუთრ თავზე საკუთრების უფლებით დარეგისტრირებისა და შემდეგ ნ. კ.-ს სახელზე გასხვისების თაობაზე ინფორმაციას არ ფლობდა. შესაბამისად, სახეზე არ არის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის წარმოშობის სუბიექტური მომენტი, რაც არსებითაა მოთხოვნის ხანდაზმულად მიჩნევისათვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის კონტექსტში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობის ხანდაზმულობის ვადასთან მიმართებით პალატა დამატებით განმარტავს, რომ დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნა უკავშირდება დარღვევის ფაქტის შეტყობას. შეუძლებელია, მემკვიდრეს მოეთხოვოს სარჩელის შეტანა სამკვიდროს გახსნიდან გარკვეულ პერიოდში, როცა ამ პერიოდში მისთვის უცნობია მისი უფლების დარღვევის შესახებ. ასეთი სახის განმარტება ყოველგვარ აზრსაა მოკლებული და ეწინააღმდეგება ელემენტარულ

³ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ას-377-357-2011 გადაწყვეტილება, 28.06.2011



ლოგიკის კანონებს⁴. ამდენად, პალატა მიიჩნევს რა, რომ მ. მ. ნ. მ.-ს მიერ ვ. მ.-ს მთელი დანაშთი ქონების საკუთარ თავზე საკუთრების უფლების რეგისტრაციისა და შემდეგ ნ. პ.-ს სახელზე გასხვისების თაობაზე ინფორმაციას არ ფლობდა, ამიტომ მისი მოთხოვნა ხანდაზმულად არ მიიჩნევა. პალატა მიზანშეწონილად თვლის ასევე ყურადღება გაამახვილოს ნ. პ.-ს მტკიცებაზე იმასთან დაკავშირებით, რომ მ. მ.-მ აღნიშნული ინფორმაციის თაობაზე 2013 წლის აპრილის თვეში შეიტყო. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მტკიცებაც მოსარჩელის ახსნა-განმარტებას ეფუძნება, რომლის მიხედვითაც მათ სამკვიდრო მოწმობის თაობაზე ჩუქების ხელშეკრულების დადების დროისათვის შეიტყვეს. ჩუქების ხელშეკრულება კი 2013 წლის 8 აპრილს გაფორმდა. ნიშანდობლივია, რომ მ. მ. 2013 წლის 01 ივნისს გარდაიცვალა. სამოქალაქო კოდექსის 1450-ე მუხლის შესაბამისად, სამკვიდროს მიღება ან მიღებაზე უარის თქმა შეიძლება სადავო გახდეს ორი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როცა დაინტერესებულმა პირმა შეიტყო, რომ ამისათვის არსებობს სათანადო საფუძველი. შესაბამისად, მ. მ. ნ. მ.-ს მიერ სამკვიდროს მიღების შეცვლების 2 თვიანი ვადის ამოწურვამდე გარდაიცვალა, რაც იმას ნიშნავს, რომ მას თავის სიცოცხლეში აღნიშნული ვადა არ გაუშვია. უფრო მეტიც, გ. ე.-მ 2013 წლის 24 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს მ. მ.-ს ქმედუუნაროდ აღიარების თაობაზე მიმართა, თუმცა, განცხადება 2013 წლის 28 მაისის განჩინებით არ იქნა განსახილველად მიღებული (ტ 1, ს.ფ. 149-152). რაც შეეხება გ. ე.-ს, მას მ. მ.-ს სიცოცხლეში ვ. მ.-ს დანაშთ ქონებაზე შეცვლების სამართლებრივი ბერკეტი არ ჰქონდა. აღნიშნული შეცვლება მ. მ.-ს თავის სიცოცხლეში თავად უნდა განეხორციელებინა. რადგან ამ უკანასკნელმა აღნიშნული უფლების განხორციელება თავის სიცოცხლეში ვერ შეძლო, ამიტომ მითითებული უფლების რეალიზაციის შესაძლებლობა მ. მ.-ს გარდაცვალების შემდეგ გ. ე.-მ მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ მ. მ. 2013 წლის პირველ ივნისს გარდაიცვალა. გ. ე.-მ სარჩელი, ჯერ კიდევ სამკვიდრო მოწმობის აღებამდე, 2013 წლის 4 ივლისს აღძრა. შესაბამისად, გ. ე.-ს მოთხოვნა ხანდაზმულად არ ითვლება.

4.3. ნ. პ. 2013 წლის 8 აპრილის ჩუქების ხელშეკრულების შედეგად მ. მ.-ს კუთვნილი ქონების კეთილსინდისიერ შემძენად ვერ მიიჩნევა.

პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ნ. პ. ნ. მ.-ს ძმია. პალატა ასევე მხედველობაში იღებს იმ გარემოებასაც, რომ ნ. პ.-მ ქონება უსასყიდლოდ, ჩუქების გზით, შეიძინა. შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ ახლო ნათესავთან დადებული უსასყიდლო გარიგების პირობებში, თუ დადასტურდა „სხვისი“ ქონების არამართლზომიერად, „სხვა“ პირის ნების გარეშე გასხვისების ფაქტი, ქონების უსასყიდლოდ მიმღების კეთილსინდისიერება მას ვერ დაიცავს და შესაბამისად, ჩუქების გაბათილებისა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის დამაბრკოლებელ გარემოებად ვერ მიიჩნევა, მით უფრო, რომ სარჩელსა და შესაგებელზე წარმოდგენილი შესაგებლები ამგვარ მტკიცებას არ შეიცავს.

4.4. გ. ე. მ. მ.-ს შვილი და კანონისმიერი მემკვიდრეა.

აღნიშნული გარემოება სამართალწარმოების არცერთ ეტაპზე მხარეთა მხრიდან სადავოდ გამხდარი არ ყოფილა. პირველ ინსტანციაში საქმის განხილვის დროისათვის გ. ე.-ს მიერ სამკვიდრო მოწმობის აღების ვადა ჯერ კიდევ ამოწურული არ იყო. აღნიშნულ მსჯელობას პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შეიცავს, რაც იმას ნიშნავს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ გ. ე.-ს მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტზე იმსჯელა, თუმცა, სამკვიდროს მიღების საკითხი შედეგობრივი თვალსაზრისით ღიად დატოვა სამკვიდრო

⁴ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს №ას-15-15-2012 გადაწყვეტილება, 28.06.2012



მოწმობის წარმოდგენამდე. შესაბამისად, გ. ე.-ს სამართალწარმოების ფარგლებში სამკვიდროს გახსნიდან 6 თვის განმავლობაში ყოველთვის შეეძლო წარმოედგინა სამკვიდრო მოწმობა და იგი დაგვიანებულ მტკიცებულებად ვერ იქნებოდა მიჩნეული არც მისი მოპოვების შესაძლებლობისა და არც ინსტანციურად სასამართლოში წარმოდგენის თვალსაზრისით. შესაბამისად, პალატა იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას მასზედ, რომ მართალია, გ. ე.-ს პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე ნოტარიუსისათვის მ. მ.-ს დანაშთ ქონებაზე სამკვიდრო მოწმობის მისაღებად მიმართული არ ჰქონდა, თუმცა, ვინაიდან მ. მ.-ს გარდაცვალებიდან 6 თვიანი ვადა ამოწურული არ იყო, ამიტომ სასამართლომ აღნიშნული ვადა გაშვებულად არ მიიჩნია და სწორადაც, ვინაიდან სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში მხარემ მითითებული მტკიცებულება წარმოადგინა. პალატა მიიჩნევს, რომ 6 თვიან ვადაში სამკვიდროს მისაღებად განაცხადის წარდგენა საკმარისია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის კონტექსტში მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღებულად მიჩნევის მიზნებისათვის.

5. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები ქმნიან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას და, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს, შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

6. საპროცესო ხარჯები

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, მოწინააღმდეგე მხარე ნ. პ.-ს აპელანტ გ. ე.-ს სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სარჩელზე და სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება 1671 (651+1020) ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ

გ ა დ ა წ ვ ე ტ ა

1. გ. ე.-ს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება;
3. გ. ე.-ს სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. ბათილად იქნას ცნობილი კ. მ.-ს დანაშთ სამკვიდრო ქონებაზე, მდებარე მისამართზე, ქ. თბილისი, მუხიანი, მ/რ. X, კორპ. XX, ბინა NX (საკადასტრო კოდით XX.XX.XX.XXX.XXX.XX.XXX) 2008 წლის 15 მაისს ნ. მ.-ს სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობა NX-XX ½ ნაწილში;



5. ბათილად იქნას ცნობილი უძრავ ქონებაზე მდებარე, ქ. თბილისი, მუხიანი, მ/რ. X, კორპ. XX, ბინა NX (საკადასტრო კოდით XX.XX.XX.XXX.XXX.XX.XXX) 2013 წლის 08 აპრილს ნ. მ.-სა და ნ. პ.-ს შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულება 1/2 ნაწილში;
6. გ. ე. დარეგისტრირდეს უძრავი ქონების, მდებარე, ქ. თბილისი, მუხიანი, მ/რ. X, კორპ. XX, ბინა NX (საკადასტრო კოდით XX.XX.XX.XXX.XXX.XX.XXX) 1/2 წილის მესაკუთრედ;
7. ნ. პ.-ს გ. ე.-ს სასარგებლოდ დაეკისროს 1671 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება.
8. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში მისი სარეზოლუციო ნაწილის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული წესების დაცვით დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან 21 დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში საკასაციო საჩივრის წარდგენის გზით;
9. გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე, თუ ის ესწრება გადაწყვეტილების გამოცხადებას ან მისთვის ცნობილია გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, ვალდებულია, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია;

თავმჯდომარე

ქეთევან მესხიშვილი

მოსამართლეები

ნატალია ნაზლაიძე

მზია ლომთათიძე